საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1790
06.11.2026

ბრძანება

1790-01-4-202611061626

გადაწყვეტილება

შპს „სკაივიას“ (ს/ნ: 405824372) 2026 წლის 23 სექტემბრის N01/8569 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. საჩივრის მოკლე შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2026 წლის 23 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „სკაივიას“ (ს/ნ: 405824372) საჩივარი (რეგ. N01/8569) (შემდგომში - მომჩივანი/“სკაივია“), რომელიც შეეხებოდა შპს „სქაივია ჯორჯიას“ (შემდგომში - მოპასუხე/“სქაივია ჯორჯია“) (ს/ნ: 400480047) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევას.

მომჩივნის განმარტებით, მისი კომპანია 2025 წელს ტურიზმის სფეროში საქმიანობის მიზნით დაფუძნდა. იმავე პერიოდში, კომპანიის დაკვეთით, სარეკლამო კომპანია Crystal Advertising-ის მიერ შემუშავდა კომპანიის ლოგო, რომლის შექმნაზე, მათ შორის, ნ. ბ. (მოპასუხის დირექტორი) მუშაობდა და რომელიც მოიცავს სახელწოდებას „Skaivia“[1]. მომჩივნის განცხადებით, ნ. ბ. შემდგომ მომჩივანის კომპანიაში მენეჯერის პოზიციაზე იყო ჩართული და პასუხისმგებელი იყო მის სარეკლამო და მარკეტინგულ საქმიანობაზე, მათ შორის, Facebook-ისა და Instagram-ის გვერდების შექმნასა და მართვაზე. მომჩივნის განმარტებით, აღნიშნულ გვერდებზე განთავსებული იყო ფოტო და ვიდეომასალა, მათ შორის, ცნობადი ადამიანების მონაწილეობით, რამაც, მისი შეფასებით, ხელი შეუწყო კომპანიის სახელისა და ლოგოს ბრენდად დამკვიდრებას. მხარეები ზეპირად

[1] საჩივარში მითითებული „Skaivia“-ს ნაცვლად იგულისხმება „Skyvia“ (ტექნიკური უზუსტობა)

შეთანხმდნენ, რომ გაწეული საქმიანობის სანაცვლოდ ნ. ბ. მიიღებდა კომპანიის საქმიანობით მიღებული მოგების %-ს.

მომჩივნის განმარტებით, მხარეებს შორის ურთიერთობის გაუარესების შემდეგ ნ. ბ.-მ მოითხოვა კომპანიის კაპიტალში წილის მიღება, რაზეც მომჩივანმა უარი განაცხადა. ამის შემდგომ, 2026 წლის 11 აგვისტოს, ნ. ბ.-მ სსიპ საქპატენტში საკუთარ სახელზე შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშანზე „Skyvia“, რომელიც მიმდინარე გადაწყვეტილების მიღების დროისათვის წარმოების პროცესშია[2] და რომლის გამოსახულება და სიტყვიერი ნაწილი, მომჩივნის განმარტებით, იდენტურია მისი კომპანიის ლოგოსი. ამასთან, 2026 წლის 12 აგვისტოს დარეგისტრირდა შპს „სქაივია ჯორჯია“, რომლის სახელწოდებაც, მომჩივნის მითითებით, მისი კომპანიის სახელწოდების მსგავსია და მომხმარებლებში კომპანიების აღრევის საფუძველს ქმნის.

მომჩივანი ასევე მიუთითებს, რომ ნ. ბ.-მ შეუწყვიტა მას და კომპანიის თანამშრომელს წვდომა Facebook-ისა და Instagram-ის გვერდებზე და განაგრძო აღნიშნული გვერდების გამოყენება, მათ შორის, ტურებისა და ვაკანსიების შეთავაზება, იმავე ან უკეთესი პირობებით. მომჩივნის განმარტებით, აღნიშნული გვერდების გამოყენება და მისი კომპანიის სახელისა და ლოგოს მსგავსი აღნიშვნების გამოყენება მომხმარებლებს უქმნის მცდარ წარმოდგენას გვერდების კუთვნილებისა და შესაბამისი საქმიანობის წარმომავლობის შესახებ, რითაც ზიანი ადგება მომჩივნის ბიზნესსა და რეპუტაციას.

1.2. მოპასუხის პოზიცია

კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გასაცნობად და პოზიციის წარმოსადგენად გადაეგზავნა მოპასუხეს.[3]

მოპასუხის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა წერილობითი პოზიცია[4], სადაც ის არ ეთანხმება მომჩივნის განმარტებას, თითქოს იგი „სკაივიაში“ მხოლოდ ტექნიკური ან დამხმარე ფუნქციით იყო ჩართული და შემდგომ მიითვისა კომპანიის ბიზნესი, მომხმარებლები, ლოგო ან სოციალური ქსელები.

მოპასუხის განმარტებით, მისი ჩართულობა არ შემოიფარგლებოდა დაქირავებული თანამშრომლის ან მომსახურების გამწევის ფუნქციით და იგი მომჩივანთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა ბიზნესის შექმნასა და განვითარებაში, მათ შორის, ლოგოს შექმნაში, სოციალური ქსელების შექმნასა და მართვაში, მარკეტინგულ საქმიანობაში, მომხმარებლებთან კომუნიკაციასა და სხვადასხვა საოპერაციო საკითხში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ, რომ იგი მიიღებდა კომპანიის საქმიანობით მიღებული მოგების %-ს.

---

[2] https://www.sakpatenti.gov.ge/ka/search_engine/view/140542/3/ [21.10.2026]

[3] სააგენტოს 2026 წლის 24 სექტემბრის N02/6434 წერილი

[4] რეგ. N01/8788 (30.09.2026)

მოპასუხე არ ეთანხმება მომჩივნის პოზიციას, რომ ლოგო და სოციალური ქსელების გვერდები მომჩივნის დაკვეთით შემუშავდა. მისი განმარტებით, ლოგოს შექმნაში თავად მონაწილეობდა, მას არ მიუღია დიზაინის შექმნისთვის ანაზღაურება და მხარეებს შორის არ არსებობდა წერილობითი შეთანხმება, რომელიც აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებულ უფლებებს მომჩივანს გადასცემდა. ანალოგიურად, სოციალური ქსელების გვერდების შექმნასა და ადმინისტრირებაში იგი უშუალოდ იყო ჩართული.

მოპასუხის განმარტებით, მხარეთა ურთიერთობის დასრულების შემდეგ მან საქმიანობის დამოუკიდებლად გაგრძელება და საკუთარი კომპანიის დაფუძნება გადაწყვიტა. იგი უარყოფს მომჩივნის მითითებას მომხმარებლების გადაბირების, მათი შეცდომაში შეყვანის, მომჩივნის დისკრედიტაციის ან მისთვის ზიანის მიყენების შესახებ. მოპასუხის პოზიციით, მომხმარებელთა ნაწილის გადინება ან მომჩივნის კომპანიის საქმიანობის გაუარესება, თავისთავად, არ ადასტურებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, პირადი პროფესიული კონტაქტები და მომხმარებლებთან ურთიერთობა წინ უსწრებდა მომჩივან კომპანიაში მის ჩართულობას და საერთო საქმიანობის ფარგლებში მომხმარებელთა ნაწილი სწორედ მისი პირადი კონტაქტების საფუძველზე გახდა კომპანიის კლიენტი.

მოპასუხის პოზიციით, წარმოდგენილი დავა გამომდინარეობს მხარეთა წარსული ერთობლივი ბიზნესურთიერთობიდან, მოპასუხის პირადი შრომითა და რესურსებით შექმნილ აქტივებზე წარმოშობილი უთანხმოებიდან და შემდგომ დამოუკიდებელი საქმიანობის დაწყებიდან. მოპასუხის მითითებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოგვიანებით დააფუძნა დამოუკიდებელი კომპანია და იმავე სფეროში განაგრძო საქმიანობა, თავისთავად არ ადასტურებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს.

1.3. მომჩივნის მიერ დამატებით წარმოდგენილი მოსაზრებები

მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა მოსაზრებები მოპასუხის პოზიციასთან დაკავშირებით.[5]

„სკაივიას“ განმარტებით, არ შეესაბამება სიმართლეს მოპასუხის მითითება, რომ მხარეები საერთო ბიზნესსაქმიანობას ეწეოდნენ. მომჩივანი აღნიშნავს, რომ ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს კომპანიის დირექტორი ფარავდა, რის გამოც არ ეთანხმება მოპასუხის პოზიციას კომპანიის საქმიანობაში მისი ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ. მომჩივანი კვლავ მიუთითებს, რომ „სკაივიას“ ლოგო შეკვეთით დამზადდა და მასზე ექსკლუზიურ უფლებას თავად ფლობს, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმის მასალებში[6] წარმოდგენილი არ არის.

ამდენად, დამატებით წარმოდგენილ მოსაზრებებში მომჩივანი არსებითად იმავე არგუმენტაციას ეყრდნობა, რაც საჩივარში ჰქონდა წარმოდგენილი და არ ეთანხმება

[5] სააგენტოში შემოსული წერილი(რეგ. N 01/9119; 09.10.2026)

[6] 2026 წლის 29 ოქტომბრის მდგომარეობით

მოპასუხის განმარტებებს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობისა და ლოგოზე უფლებასთან დაკავშირებით.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე უფლებამოსილების მქონე ორგანოა სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა.

კანონის 11^3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო საჩივრის მიღების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - პროცედურა) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნული მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო, ასევე, აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში. ასევე, პროცედურის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ზემოთ აღნიშნულ 30-დღიან ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1) საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და 2) საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.3. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია პარიზის კონვენციის მიხედვით

„სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“[7] (1967) (შემდგომში - კონვენცია) პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ქმნიან სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია: პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.

კონვენციის 10bis მუხლი ეხება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ჩაითვლება კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვეულებს. მუხლში განმარტებული არ არის, თუ რა იგულისხმება „სამეწარმეო ან კომერციულ პატიოსნებაში“, შესაბამისად, აღნიშნული ტერმინის განმარტება ეროვნული სასამართლოების და ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებაშია.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის მოქმედების სფერო

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სააგენტო საქმის მოკვლევას იწყებს საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

ხაზი უნდა გაესვას, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად: ჯერ მოწმდება, აქვს თუ არა სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით; შემდგომ ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო უფლებამოსილი არ არის განიხილოს საკითხი, ამ საკითხის შინაარსობრივი ანალიზი აღარ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე. „სკაივიას“ საჩივარში საუბარია კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით

[7] კონვენციის სრული ტექსტი იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2446385?publication=0 [08.10.2026]

გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა:

ა) კანონის 11^3 მუხლით დადგენილი პირობების ერთობლივად არსებობა;

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილება.

კანონის 11^3 მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ეს მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებსაც, რომელიც კანონში 2020 წლის 4 ნოემბრიდან ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, წარმოადგენს სამაგალითო (და არა ამომწურავ) ჩამონათვალს[8]. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, სავარაუდო დარღვევის შემადგენლობა, რომელსაც მომჩივანი მხარე სადავოდ ხდის, უშუალოდ მოცემულია ხსენებულ ჩამონათვალში („ა“ და „გ“ ქვეპუნქტები). ამდენად, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

ა) ქმედების არსებობა;

ბ) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;

გ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;

დ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია

[8] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, შპს ,,ეს.ი.ეი შპს „ბი ეს თის“ წინააღმდეგ), გვ. 19;

მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა.“[9]

კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესების შელახვა - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ ასევე, იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ“ (მუხლი 2(a)).[10]

3.2. სააგენტოს შეფასება კანონის 11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.[11]

---

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017.

[10] Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council of 11 May 2005 concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market (იხ. https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2005/29/oj/eng) [29.10.2026]; ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186, 2016 წლის 28 მარტის №41 და 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში.

[11] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის №04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II”), გვ. 10.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე **სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს კანონის 11³ მუხლით დადგენილი ერთ-ერთი პირობის - „ქმედება, რომელიც უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს“ არსებობა/არარსებობის დადგენაზე, რადგან საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მიუთითებს იმას, რომ მოპასუხის ქმედება არ წარმოადგენს საქმიანი ეთიკის ნორმების დარღვევას,** შემდეგ გარემოებათა გამო: მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მიუთითებს კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევაზე. მომჩივნის პრეტენზიები, მათ შორის, უკავშირდება მოპასუხის მიერ 2026 წლის 11 აგვისტოს სსიპ „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშანზე „Skyvia“ განაცხადის შეტანას. მომჩივანი აღნიშნულ გარემოებას განიხილავს საკუთარი კომპანიის სახელწოდებისა და ლოგოს გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა პრეტენზიებთან ერთობლიობაში და მიიჩნევს, რომ მოპასუხის ქმედებები, მათ შორის, მსგავსი აღნიშვნების გამოყენება და სოციალური ქსელების გვერდების მართვა, მომხმარებლებში მხარეთა აღრევას იწვევს, მათი საქმიანობისა და კუთვნილების შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის, აგრეთვე იწვევს მისი კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვასა და დისკრედიტაციას.

შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით, აღნიშნული ნორმების სავარაუდო დარღვევის შეფასებისას მნიშვნელოვანია პირველ რიგში დადგინდეს, იკვეთება თუ არა მოპასუხის კონკრეტულ ქმედებაში საქმიანი ეთიკის ნორმებთან წინააღმდეგობის ნიშნები და არსებობს თუ არა შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელი მასალა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კანონის კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მომჩივანს ეკისრება მტკიცების ტვირთი და იგი ვალდებულია საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

მომჩივანი საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად მიუთითებს მოპასუხის წარმომადგენლის მხრიდან განთავსებულ სოციალური ქსელის პუბლიკაციაზე და მტკიცებულების სახით წარმოადგენს მის ეკრანული ანაბეჭდს, რომლის შინაარსიც შეეხება შპს „სკაივიაში“ განხორციელებულ ცვლილებასა და ახალი კომპანიის დაფუძნებას. აღნიშნული მასალა, ცალკე აღებული, არ იძლევა საკმარის საფუძველს დასკვნისთვის, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საქმიანი ეთიკის ნორმებთან წინააღმდეგობაში იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. ბ.-მ სასაქონლო ნიშანზე განაცხადი წარადგინა სსიპ „საქპატენტში“, რომელიც მიმდინარე გადაწყვეტილების მიღების დროისათვის წარმოების პროცესშია[12] და მისი რეგისტრაციის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის; მოცემული წარმოების დასასრულებად „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია შესაბამისი ვადები. ამ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, არსობრივი ექსპერტიზისათვის გათვალისწინებულია 6 თვიანი

[12] https://www.sakpatenti.gov.ge/ka/search_engine/view/140542/3/ [29.10.2026]

ვადა, რომელიც ტარდება განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრების შემდგომ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული უფლებების დაცვა სასამართლოს გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი. ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზის გაესვას იმ გარემოებას, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება, მათ შორის, კონკრეტულ შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების დარღვევის დადგენა, უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებისა და უწყების კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს, მათ შორის, დამრღვევი ქმედების შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხორციელებისთვის კანონით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის მიმართვის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმი.

რაც შეეხება მომჩივნის მოთხოვნას სოციალური ქსელების პლატფორმებზე ავტორიზაციის მონაცემების გადაცემასთან და ანგარიშებზე წვდომის შეზღუდვასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ ამ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი საქმის მასალებიდან არ დადასტურდა, რომ მითითებული პლატფორმების გამოყენებით მოპასუხემ განახორციელა ისეთი სახის ქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში იქნებოდა საქმიანი ეთიკის ნორმებთან, ხოლო თავად, აპლიკაციების, როგორც ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების/სოციალური ქსელების ანგარიშების ავტორიზაციის მონაცემების მიღება-გადაცემის საკითხი, რაც დაკავშირებულია პლატფორმის ფლობისა და მართვის უფლების გადაცემასთან, სცდება სააგენტოს კომპეტენციას და არ წარმოადგენს მოცემული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განსახილველ საკითხს.

ყოველივე ზამოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მტკიცებულებების და დამატებით მოძიებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, **სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ მომჩივანის მიერ დასახელებული მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ქმედება არ არის საქმიანი ეთიკის ნორმებთან წინააღმდეგობაში. შესაბამისად, აღნიშნული მოცემულობა არ ჯდება კანონის 11³ მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციაში, კერძოდ სახეზე არ არის კანონის 11³ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთ პირობა - „ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს“,**

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, უკვე აღარ დგას მომჩივანის მხრიდან სადავოდ გამხდარი, კონკრეტული ქმედების შეფასების საჭიროებაც, ვინაიდან კანონის 11^3 მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული ზემოხსენებული ელემენტის არარსებობა უკვე შეუძლებელს ხდის ამ ქმედების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონტექსტში განხილვას და დარღვევის დადასტურებას.

შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმეზე მოკვლევის დაწყების სამართლებრივი საფუძველი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ან ახლადაღმოჩენილი/ახლადგამოვლენილი გარემოების არსებობის პირობებში, ახალი საჩივრის საფუძველზე, ასევე, საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

სარეზოლუციო ნაწილი

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ გადაწყვიტა:

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „სკაივიას“ (ს/ნ: 405824372) 2026 წლის 23 სექტემბრის N01/8569 საჩივარი;

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე;

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

